განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი

| | |
|---|---|
| შეფასების თარიღ(ებ)ი | 2022 წლის 16-18 მაისი |
| დასკვნის წარდგენის თარიღი | 2022 წლის 1 ივლისი |

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შპს |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 245546734 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | √ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ბათუმი |
| იურიდიული მისამართი | ქალაქი ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N55 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N55 |
| საფოსტო ინდექსი | 6000 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.masterclass.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | masterclasib@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 597 59 91 91 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | ნანი ფაღავა |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 593 26 95 75 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 597 59 91 91 |
| ელ-ფოსტა | nana.pagava@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის 2022 წლის 3 მაისის ბრძანება MES 5 22 0000440927 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2022 წლის 16,17,18 მაისი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ნანა მონიავა |
| წევრი (სახელი, გვარი) | თეა გაბელაია |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:<br>დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, თუმცა შეთანხმებული არ არის სამინისტროსთან. სკოლას მიეცა დრეკომენდაცია დაუყონებლივ შეათანხმოს არსებული წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლას ჰყავს კლასის კოორდინატორები, რომლებიც არ ატარებენ გაკვეთილს და მტელი დღის განმავლობაში სასწავლო პროცესის დროს იმყოფებიან მოსწავლეებთან. ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. ერთად არიან ჩართულები საკლასო და სასკოლო აქტივობებში, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული პრობლემების გააზრებასა და დაძლევაში, საჭიროების შემთხვევაში ეხმარებინ საგნის მასწავლებელთან ეფექტურ კომუნიკაციაში. აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან აწვდიან ინფორმაციას. გაკვეთილის მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, ფასილიტაციას უწევენ საგნის მასწავლებლებს სხვადსხვა აქტივობების წარმართვაში. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | დასავლეთ ევროპული ენების (გერმანული, ფრანგული, ინგლისური, რუსული) ცოდნითა და მედიატექნოლოგიური უნარებით აღჭურვილმა თაობამ, ეროვნული თუ მსოფლიო ფასეულობების გათვალისწინებით, შეძლოს ინდივიდუალური, შემოქმედებითი, თავისუფალი ხედვების განვითარება, რათა შემდგომ, თანამედროვე გამოწვევების ეპოქაში, ახალგაზრდებმა მოახერხონ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, ტოლერანტული დამოკიდებულებებით საზოგადოების ნებისმიერ გაერთიანებასთან ურთიერთობა, კანონიერების, წესრიგის, უპირატესობის პრინციპების გათავისება, ცოდნისა და უნარების საკუთარი და საზოგადო კეთილდღეობისთვის გამოყენება. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | - |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>---------840----- | ექსპერტი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლაში სწავლობს 821 მოსწავლე, 42 ფინანსური კლასი.<br>სკოლას შემუშავებული აქვს 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მისი ნაწილებია:<br>სკოლის მისია; სასკოლო საათობრივი ბადე; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; სასწავლო სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და საგნების მიხედვით; დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (მეორე ცვლის) კონცეფცია; მოსწავლის აკადემიური შეფასების წესები, ვადები და პირობები; გაცდენილი შემაჯამებელი დავალების, აღდგენა; გამოცდები; კოორდინატორის (სადამრიგებლო) პროგრამა; წახალისების ფორმები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სსსმ მოსწავლისათვის; სკოლის კალენდარი; სასწავლო წლის კალენდარი; მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით; განმავითარებელი შეფასების სქემები; განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; საგანმანათლებლო რესურსები; შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, ანალიზის ფორმები- დოკუმენტაცია; სასკოლო - საგანამანათლებლო ღონისძიებები; დისტანციური სწავლების ბადე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაკვეთილებისა და შესვენებების ხანგრძლივობა კლასების მიხედვით შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.<br>I კლასში: გაკვეთილი- 35 წთ., შესვენება 5 და 15 წუთიანი.<br>II კლასში: გაკვეთილი- 40 წთ., შესვენება 5,10 და 20 წუთიანი.<br>III-XII კლასებში: გაკვეთილი - 45 წთ., შესვენება 5 და 10<br>გაკვეთილის ხანგრძლივობა განისაზღვრება 45 წუთით.<br><br>საათობრივი ბადე წარმოდგენილია საგნებში კვირეული დატვირთვის მიხედვით და ასევე გაწერილია საგაკვეთილო ცხრილში. მასში ფიქსირდება, თუ კვირის რომელ დღეს და დროის რომელ მონაკვეთში, რა საგანი ისწავლება. საათობრივ ბადეში აღნიშნულია, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნებიც.<br>არჩევითი საგნები<br>X კლასი- ფოლკლორი და მითოლოგია- 2 სთ.<br>XI კლასი- სამედიცინო ბიოლოგია და ჯამრთელობა 1 სთ.(1-ლი მოდული ). მსოფლიო კულტურა- 2სთ.<br>XII კლასი- მე-19, მე-20 საუკუნის დასავლეთ ევროპული ლიტერატურა.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლა ერთი კლასის საათობრივი დატვირთვის ფარგლებში, ჯამური დატვირთვის 25% ანაწილებს, ასევე ითვალისწინებს ესგ 23 მუხლის ჩანასწერს<br>**სკოლის საათობრივ ბადეში შეტანილია ცვლილებები**<br>Vკლასი<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 2 სთ-ით.<br>ბუნებისმეტყველება შემცირებულია 1სთ-ით.<br>ისტ შემცირებულია 1სთ-ით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | VI კლასი<br>მათემატიკა - გაზრდილია 1სთ-ით.<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 2 სთ-ით.<br>ბუნებისმეტყველება შემცირებულია 1სთ-ით.<br>ისტ შემცირებულია 1სთ-ით.<br>VII კლასი<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 2 სთ-ით.<br>VIII კლასი<br>პირველი უცხოური ენა(ინგლისური)-გაზრდილია 2/3(2,5)სთ-ით. ისტორია შემცირებულია 0/1 (0,5) სთ-ით.<br>IX კლასი<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 3 სთ-ით.<br>X კლასი<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 3 სთ-ით.<br>სამოქალქო განათლება შემცირებულია 1სთ-ით.<br>XI კლასი<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 3 სთ-ით.<br>ისტორია შემცირებულია 1 სთ-ით.<br>საგზაო ნიშნები შემცირებულია 0/1 (0,5)სთ-ით.<br>ფიზიკური აღზრდა და სპორტი შემცირებულია 1/0 (0,5)სთ-ით.<br>XII კლასი<br>პირველი უცხოური ენა (ინგლისური)- გაზრდილია 3 სთ-ით.<br><br>**დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება**<br>საგაკვეთილო ცხრილში დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება წარმოდგენილია დღის მეორე ნახევარში, სავალდებულო გაკვეთილების დასრულების შემდეგ.<br>Iკლასი- ინგლისური ენა -3 სთ.<br>ფსიქოლოგის საათი - 1 სთ.<br>IIკლასი - ინგლისური ენა - 2სთ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | IIIკლასი - ინგლისური ენა -2 სთ.<br>რუსული ენა- 3 სთ.<br>რელიგიების ისტორია-1 სთ.;<br>IVკლასი- ინგლისური ენა-2 სთ.;<br>რუსული ენა- 3 სთ.<br>რელიგიების ისტორია-1 სთ.;<br>VI კლასი- გერმანული / ფრანგული - 2 სთ.;<br>რელიგიების ისტორია- 1სთ.<br>VII კლასი- გერმანული / ფრანგული - 2 სთ.;<br>VIII კლასი-გერმანული / ფრანგული - 2 სთ.;<br>IX კლასი- გერმანული / ფრანგული - 2 სთ.;<br>XI კლასი- მათემატიკა/ ისტორია/ ქიმია/ ბიოლოგია - 2სთ.<br>XII კლასი- მათემატიკა - 2 სთ.<br>ისტორია - 4 სთ.<br>ქიმია - 5 სთ.<br>ბიოლოგია - 5 სთ.<br>სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან (სადაც განსაკუთრებული აქცენტი დასავლეთ ევროპულ ენებზე კეთდება) და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის შინაგანაწესი<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა- ლიცეუმი მასტერკლასის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი სასწავლო-საარმზრდელო ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია და ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის შეძენას, მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და ესგ-თი გათვალისწინებულ ღირებულებების შეძენას.<br>სსგ-ში წარმოდგენილია სკოლის თითოეული საფეხურის დონეზე მისაღწევი მიზნები და შესაბამისი ამოცანები.<br><br>საგნობრივი კათედრების ფუნქციები სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში.<br>სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კათედრები : ქართული ენის, მათემატიკის და ტექნოლოგიების, საბუნებისმეტყველო, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ფიზიკური აღზრდსა და სპორტის, ესთეტიკური აღზრდის კათედრა, დაწყებითი კლასების კათედრა.<br>კათედრის მიზანია სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება და საგნების სწავლებისადმი წაყენებული მოთხოვნის განხორციელება და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგემარება.<br>მისი ამოცანებია: ახალი მეთოდების განხილვა-გაზიარება, სსგ მიხედვით სასწავლო გეგმების შედგენა, წახალისება, ურთიერთდასწრება, მოსწავლეთა შეფასების სისტემაზე მუშაობა, სკოლის თვითშეფასებაში მონაწილეობა, სასწავლო დაწესებულებაში საგნების სწავლებაში არსებული პრობლემების კვლევა და მისი გადაჭრის გზების ძიება, მოსწავლეთა კონკურსების, კონფერენციების, ოლიმპიადების ჩატარება, პედაგოგთათვის ტრეინინგების, სემინარების მოწყობა, მოსწავლეთა მიღწევების დემონსტრირება (გამოფენები, სპექტაკლები და სხვ), ვებგვერდების, სლაიდების, თემატური კატალოგების და სხვ. საჭირო მასალის შექმნა ისტ-ის გამოყენებით, საუკეთესო მასწავლებლის გამოცდილების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაზიარება, ახალბედა მასწავლებლისათვის დახმარების გაწევა პედაგოგიური დახელოვნების მიზნით.<br>ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად თითოეულ კათედრას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა. კათედრის ხელმძღვანელის პორტფოლიოში განთავსებული კათედრის სხდომის ოქმები, არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი ლიტერატურა, საგანმანათლებლო რესურსები, რომელიც საჭიროა და გათვალისწინებულია საგნის წლიურ გეგმაში. 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში თითოეული კათედრის მიერ შემუშავებულია თემატური მატრიცები, შეფასების რუბრიკები როგორც კლასების ასევე აქტივობების მიხედვით. კათედრის ოქმებს ახლავს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობები, შემაჯამებელი დავალების ტიპები, შემაჯამებელი დავალების ანალიზები, კათედრებს შემუშავებული აქვთ ფორმა ანალიზის, რომელსაც ერთვის შემაჯამებლის ნიმუში, შეფასების კრიტერიუმები და მინიმუმ 2 ნაშრომი (ქსეროასლი, სადაც მოსწავლის სახელი და გვარი დაფარული იყო), სადაც ჩანს როგორ არის მასწავლებლის მიერ წარმოებული შეფასება.<br>ყველა კათედრის პორტფოლიო იყო შესწავლილი, ანგარიშები შემთხვევითობის პრინციპით განვიხილეთ, სადაც ნათლად იყო წარმოდგენილი კლასის საერთო პრობლემა.<br>სკოლის თითოეულ კლასს ჰყავს კოორდინატორი (კლასის დამრიგებელი), რომელიც სასწავლო პროცესის დაწყებიდან დღის ბოლომდე იმყოფება თავის კლასთან და მისი ვალდებულებაა თითოეული მოსწავლეს ხელი შეუწყოს აკადემიური სხვა პრობლემების გაადაჭრაში და მოსწავლის ჰარმონიულ განვითარებაში. ამ მიზნით კოორდინატორი ადგენს სამუშაო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას და წლის განმავლობაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს დასახულ გეგმებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის შინაგანაწესი<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის საგნობრივი კათედრების პორტფოლიოები<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის კოორდინატორის პორტფოლიოები.<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა-ლიცემუმი მასტერკლასის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია თავი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის“:<br>1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე - განმარტებულია რას ნიშნავს და როგორ განისაზღვრება სსსმ მოსწავლის სტატუსი.<br>2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - განმატრებულია ვინ და რის საფუძველზე, რა მიზნით, რა სიხშირით იქმნება, რამდენ საგანში, როგორ და ვის მიერ კონტროლდება გეგმა და მისი შესრულება.<br>3. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები- განმარტებულია როგორ, რის შესაბამისად ხდება შეფასება და დასწრებისა გაცდენების აღრიცხვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საკითხები.<br>4. სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება- ამ თავში გაწერილია რა შემთხვევაში, რის საფუძველზე შეიძლება შინ სწავლების მომსახურება.<br>5. სსსმ მოსწავლის მიღების წესი - როგორ, რა პროცედურების დაცვაა საჭირო მიღების პროცესში.<br>6. სასკოლო გარემოს მოწყობა- განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კეთილგანწყობილ და თანაბარი პირობების შექმნის უზრუნველყოფის მექანიზმებზე.<br>7. მოსწავლის პორტფოლიო - გაწერილია ყველა მოთხოვნა, რომელიც ხელს შეუწყობს განვითარების დინამიკის დანახვას და შეფასებას.<br>ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.<br>ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის საჭიროების შემთხვევაში შეთავაზებული დამატებითი მეცადინეობა, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური.<br>სკოლის მიზნების, ხედვებისა და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილა მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, ვადები და პირობები. შეფასების სისტემა თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოდელს.<br>სკოლა იყენებს ორი ტიპის, განმავიტარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას სამივე(საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი დავალება) კომპონენტში. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები. თითოეულ შემაჯამებელს თან ერთვის შეფასების რუბრიკა, რომელსაც მოსწავლე წინასწარ ეცნობა. ტიპური შეფასების რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებსა და საგნობრივ ლაბორატორიებში.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს: გაცდენებისა და შეფასების გამოანგარიშების წესს, ნიშნების გამოანგარიშების წესს, საფეხურის დაძლევის წესს. რასაც მშობლები ეცნობიან მშობელთა კრებებზე, ხოლო მოსწავლეები სასწავლო წლის დაწყებისას კლასისს კოორდინატორისაგან. ასევე რებულობენ ინფორმაციას წლიური გამოცდების შესახებ.<br>2021-2022 სასწავლო წელს წლიური გამოცდების ჩატარება დაგეგმილია შემდეგ კლასებსა და საგნებში:<br>VII კლ. - ფიზიკა, გეოგრაფია<br>VIII კლ.- მათემატიკა, ქიმია<br>IX კლ. - ქართული ენა, ინგლისური ენა<br>X კლ. - ბიოლოგია, ისტორია<br>XI კლ. - ინგლისური ენა, მათემატიკა |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის კათედრის პორტფოლიო<br>• ინტერვიუ მშობლებთან<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს შემუშავებული აქვს მოსწავლის ინფორმირების წესი, რომელიც მოიაზრებს სკოლისა და ოჯახს შორის ორმხრივ კომუნიკაციას. კოორდინატორი სასწავლო პროცესის განმავლობაში, მთელი დღის მანძილზე იმყოფება სადამრიგებლო კლასთან, იგი ყველა გაკვეთილის მიმდინარეობისას აკვირდება მოსწავლეებს, მათ ქცევას, ძლიერ და სუსტ მხარეებს. საგნის მასწავლებელთან მსჯელობის შედეგად კოორდინატორი აწვდის მშობელს ინფორმაციას შვილის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესახებ. იგი აკონტროლებს და მშობლებთან არკვევს მოსწავლის სკოლაში დაგვიანებისა თუ არ გამოცხადების მიზეზებს. ხშირად მშობელი თვითონ ატყობინებს კოორდინატორს მოსწავლის არმოსვლის ან გაკვეთილის მოუმზადებლობის მიზეზს. კოორდინატორი სისტემატურად აწვდის შესაბამის ინფორმაციას და ღებულობს უკუკავშირს.<br>კოორდინატორი წლის ბოლოს თითოეულ მოსწავლეზე ამზადებს საგნების მიხედვით შეფასების ფურცელს, დახასიათებას, ანალიზს და ინდივიდუალური შეხვედრისას აწვდის მშობლებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის შინაგანაწესი<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის კოორდინატორების პორტფოლიოები<br>• კოორდინატორის თანამდებობრივი ინსტრუქციები<br>• ელექტრონული ჟურნალი schoolbook.ge- პლატფორმა<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა<br>• ინტერვიუ მშობლებთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ მოსწავლეებთან<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება და ასევე თანამდებობრივი ინსტრუქციები სადაც გაწერილი, რომ დირექტორის მოადგილე აკდემიურ დარგში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და მისი წარმართვისათვის საჭირო დოკუმენტაციის, გეგმების შეფასების, გადახედვისა და გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით სკოლის მიერ შექმნილი რიგი დოკუმენტებისა: გაკვეთილის მონიტორინგის ფორმა; მასწავლებლის პორტფოლიოს შეფასების ფორმა; მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი; მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი; მოსწავლის შეფასება კოორდინატორის მიერ.<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე კეთდება დასკვნა რომ სკოლის მიერ გათვალისწინებული მონიტორინგის აქტივობები გულისხმობს, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა, სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხის და ორგანიზაციული საკითხების განხორციელების შემოწმებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება<br>• გაკვეთილის მონიტორინგის ფორმა;<br>• მასწავლებლის პორტფოლიოს შეფასების ფორმა;<br>• მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი;<br>• მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი;<br>• მოსწავლის შეფასება კოორდინატორის მიერ.<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან<br>• ინტერვიუ მშობლებთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ მოსწავლეებთან<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი სასურველია ერთ დოკუმენტად იქნას წარმოდგენილი თავისი დანართებით, რაც სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება სასკოლო გეგმის შეფასების ერთიან ხედვაში, მისი პრიორიტეტულობისა და მნიშვნელობის გააზრებაში. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „სკოლა ლიცეუმი მასტერკლასი" ფუნქციონირებს ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. N55-ში მდებარე შენობაში. საჯარო რეესტრის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ამონაწერის მიხედვით შენობის საერთო ფართია 3078.64 კვ.მ., ხოლო სკოლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართი შეადგენს 830.00 კვ.მ-ს, რომლის მეპატრონე თავად შპს „სკოლა ლიცეუმი მასტერკლასია“. სკოლა არის შვიდ სართულიანი. 6 სართულზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ხოლო მეშვიდე სართულს სკოლა იყენებს სკოლაში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებისათვის. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **ქალაქი ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის 55** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **N05.27.13.001** |
| *კვ.მ.* | • შენობის საერთო ფართი- 3078.64 კვ.მ;<br>მიწის ნაკვეთის ფართი - 830.00 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;<br>• შიდა აზომვითი ნახაზი<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობაში არის 42 მოქმედი საკლასო ოთახი და ერთი განაყოფის კლასი. საკლასო ოთახების საშუალო ფართობი შეადგენს 32 კვ.მ-ს. შენობაში განთავსებულია ერთი კომპიუტერული კლასი, ერთი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სამდივნო, არასტანდარტული სპორტული დარბაზი პირველს სართულზე და მე-6 სართულზე (მე-6 სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზს სკოლა იყენებს სააქტო დარბაზად ღონისძიებების დროს). სკოლის შენობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირველ სართულზე განთავსებული ბუფეტი და სასადილო ოთახი 21 (6 ადგილიანი) მაგიდითა და 118 სკამით. საკლასო ოთახებში და საწყობებში განთავსებულია 913 მერხს (ერთადგილიანია) და 924 სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს რაოდენობა საკმარისზე მეტიცაა მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. ვიზიტის დროისთვის სკოლაში ირიცხებოდა 821 მოსწავლე. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, პროექტორებით, რუკებით, ცხრილებით, სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით, შეფასების რუბრიკებით, ევაკუაციის გეგმითა და ჰიგიენის დაცვის წესებით. ასევე დაწყებით საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეები ქარგვის უნარ ჩვევებს და კლას აქვთ საქარგი ხელსაწყოები |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შიდა-აზომვითი ნახაზით;<br>• ანგარიშ-ფაქტურებით;<br>• მერხებისა და სკამების შეძენისა დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას გააჩნია სპორტული დარბაზისათვის განკუთვნილი ორი ფართი, მე-6 და პირველ სართულზე და ერთი არასტანდარტული მოედანი. დირექტორის განმარტებით, სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობებად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, არჩეული აქვს კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი, ხოლო დაწყებით საფეხურზე ფეხბურთი და კალათბურთი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მე-6 სართულზე განთავსებულ სპორტული დარბაზის ფართს სკოლა საჭიროების შემთხვევაში იყენებს სააქტო დარბაზად და მაგიდის ჩოგბურთის თამაშისთვის, ხოლო პირველ სართულზე განთავსებულ ფართს კი ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის სათამაშოდ. სკოლის ეზოში განთავსებულ სპორტულ მოედანს მოსწავლეები იყენებენ კალათბურთისა და ფეხბურთის სათამაშოდ.<br>სკოლას აქვს სპორტული ინვენტარი, კერძოდ ფრენბურთის ბადე, ორი ჩოგბურთის მაგიდა, ერთი წყვილი ჩოგანი, კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები. სკოლას აქვს შესაძლებლობა საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად არსებული ინვენტარის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით.<br>• დირექტორთან და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, ასევე სკოლას აქვს შეძენილი ვირტუალური ელექტრონული ლაბორატორია, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.<br>ლაბორატორიული კომპლექტი განთავსებულია ერთ ოთახში - კარადებსა და თაროებზე. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით, ხელსაბანი ნიჟარითა და ცეცხლმაქრით. ამ ოთახში ლაბორატორიული მეცადინეობები ტარდება საგაკვეთილო ცხრილის შესაბამისად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვის დოკუმენტაციით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ელექტროენერგიით, წყლითა და ბუნებრივი აირით უწყვეტი უზრუნველყოფა ხორციელდება საქალაქო ქსელიდან. სკოლას აღნიშნული მომსახურეობები მიეწოდება ,,სოკარჯორჯია გაზი აჭარადან“, ,, ბათუმის წყალი“-დან და ,,ეპე ჯორჯია“-დან. საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლაში მოწყობილია განათების ბრები, რომლებიც გამოიყენება ელექტროენერგიის არ ქონის შემთხვევაში. სკოლის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის საშუალებით. შენობაში მოწყობილია გოგონების, ბიჭების, სსსმ მოსწავლის და მასწავლებლის სველი წერტილები.<br>სკოლა წარმოადგენს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, პრო ჯორჯიას“ და შპს „გასკო +“- ის დამოუკიდებელ აბონენტს. აღნიშნული რესურსი სკოლას მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საინვენტარო ჟურნალის მიხედვით სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 4610 ერთეულს, მათგან 2230 მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურაა, დანარჩენი სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სასკოლო სახელმძღვანელოები.<br>წიგნებზე სათანადო ადგილას დასმულია სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები მინიჭებული აქვს. წიგნების გატანა/ მოტანა აღირიცხება მკითხველტა ფორმულარებში.<br>სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკაში არსებობს მკითხველთა ფორმულარები. ბიბლიოთეკაში არის ანბანური კატალოგი ქაღალდზე. კედელზე გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც აღწერილია სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში არის ერთი ლეპტოპი და ერთი კომპიუტერი, რომელსაც მიეწოდება ინტერნეტი და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• საინვენტარო წიგნებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობაში პირველ სართულზე შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, თუმცა მეორე სართულზე ასასვლელად პანდუსები არაა გაკეთებული. სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ერთი სველი წერტილი, რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. შონიავა -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

<table>
<tr><td colspan="2">2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას</td></tr>
<tr><td>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</td><td>სკოლის მფლობელობაშია 3 პერსონალური კომპიუტერი და 46 ლეპტოპი. მათ შორის 26 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, და 16 საკლასო ოთახებში. 4 ლეპტოპი და 2 კომპიუტერი გამოიყენება ადმინისტრაციული დანიშნულებით. ერთი პერსონალური კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი განთავსებულია ბიბლიოთეკაში. თითოეულ კლასს მიეწოდება ინტერნეტი უწყვეტ რეჟიმში. თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. გარდა ლეპტოპებისა და კომპიუტერებისა სკოლა აქვს 14 პროექტორი. მე-2, მე-3 და მე-4 სართულზე დამონტაჟებულია თითო -თითო პროექტორი (ერთი ერთ სართულზე). 10 პროექტორი განთავსებულია კლასებში, 1 პროექტორი განთავსებულია მე-6 სართულის სპორტულ დარბაზში, რომელიც ასევე არის სააქტო დარბაზი. პროექტორები აქტიურად გამოიყენება სხვადსხვა აქტივობებისა და პრეზენტაციებისათვის. ასევე სკოლას აქვს 5 პრინტერი. ერთი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დანარჩენის - ადმინისტრაციაში და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.<br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომლიც გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად და კომუნიკაციისათვის. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება სილქნეტისგან. სკოლაში ყველა სართულზე არის უკაბელო ინტერნეტის შესაძლებლობა, ასევე საკლასო ოთახებში ლეპტოპებისათვის დამონტაჟებულია ინტერნეტის კაბელები.</td></tr>
<tr><td>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</td><td>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ანგარიშფაქტურებით;<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით;</td></tr>
</table>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვებ ვერდის დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები.<br>სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები სტანდარტის შესაბამი რაოდენობებით, სულ 22 ცალი. თითოეულ სართულზე განთავსებულია 3-3 ( სულ 21) ცეცხლმაქრი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში 1. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ექვსივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. საევაკვაკუაციო გეგმებზე მითითებულია ხანძრის შემთხვევაში მოქმედებათა თანმიმდევრობა: დარეკვა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, ხანძრის მისამართის დასახელება, ინფორმატორის გვარისა და სახელის გაცნობა, პერსონალის ევაკუაცია და დაზარალებულების დახმარება, სახანძრო ინვენტარის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში ელექტროენერგიის გათიშვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საევაკუაციო გეგმებით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულებით გამოყოფილია ცალკე ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით - სამედიცინო კარადით მედიკამენტებისთვის, სამედიცინო საწოლით, ექიმის მაგიდით. სკოლას ჰყავს ექიმი, ექიმი აწარმოებს ჩანაწერების წიგნს, რომელშიც აღნიშნულია ვინ, როდის რა ჩივილით მიმართ და რა დახმარება გაეწია. ექიმის მოვალეობები გაწერილია მის ხელშეკრულებაში. გარდა ამისა ექიმი და დირექტორი ატყობინებენ მშობელს ყოველ საგანგებო სიტუაციას და მოქმედებენ კორდინირებულად.<br>2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცდა სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესში, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის და სამედიცინო პერსონალის რაოდენობის შესაბამისობისათვის (800 მოსწავლეზე და მეტზე- 2 ექიმი (კადრის არარსებობისას ერთი ექიმი შეიძლება ჩანაცვლდეს ექთნით)) სკოლას ესაჭიოება ერთი ექიმი ან ექთანი. ამ რჩევის მიცემის შედეგად დაწესებულებამ გამოცხადა ექიმის ვაკანსია და სასწავლო წლის დაწყებისათვის ეცდება დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ჩანაწერების წიგნით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ექიმის ხელშეკრულებით;<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები, სკოლის კარისკაცი. სკოლას ასევე ჰყავს დარაჯი. სკოლაში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია. ასევე სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია მიმართულებების ნიშნები, რომელიც ეხმარება სასკოლო საზოგადოებას მოწესრიგებულად გადაადგილებაში.<br>სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, თუმცა შეთანხმებული არ არის სამინისტროსთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • მორიგეობის ცხრილები<br>• ხელშეკრულებები;<br>• ვიზუალური დათვალიერებით.<br>• სიგნალიზაციის დოკუმენტები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 29 კამერა, პირველ სართულზე განთავსებულია 5 კამერა, ხოლო დანარჩენ 6 სართულზე სართულზე 4-4 კამერა. გარე პერიმეტრზე 7 კამერა, რომელის აკონტროლებს შენობის ძირითად შესასვლელს ასევე გასასვლელსაც. როგორც. გარე კამერები შესაბამისობაშია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | კანონმდებლობით დაწესებულ მოთხოვნებთან და პარამეტრებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას ეფექტურად ფუნქციონირებისათვის შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სკოლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია, სკოლის დისციპლინური საბჭოს დებულება,კათედრების დებულება, მშობელთა კომიტეტის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციისას რეაგირების გეგმა.<br>სკოლის წესდებით განსაზღვრულია: სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი; სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვის ორგანოების; დამფუძნებელთა საბჭოს უფლებამოსილება; სკოლის დირექციაიის უფლება-მოვალეობები; სკოლის პედაგოგიური საჭოს უფლება მოვალეობები; მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება მოვალეობები; დისციპლინარული კომიტეტის შექმნის წესი; სკოლის ქონების, დაფინანსების, ანგარიშგებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წესი; სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაცია და წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი.<br>რის საფუძველზეც არის შექმნილი დანარცენი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შინაგანაწესი<br>• სკოლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია<br>• სკოლის დისციპლინური საბჭოს დებულება<br>• კათედრების დებულება<br>• მშობელთა კომიტეტის დებულება<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება<br>• ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციისას რეაგირების გეგმა.<br>• ბიბლიოთეკის დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 6 წლიანი და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმები.<br>2022-20028 წლების 6 წლიან გეგმაში წარმოდგენილია 4 სტრატეგიული მიზანი:<br>1. სასწავლო პროცესის მუდმივი გაუმჯობესება;<br>2. სასკოლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;<br>3. სკოლის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება.<br>4. სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება.<br>თითოეული მიზანი ჩაშლილია ამოცანებად, გაწერილია ვადებში და მინიშნებულია პასუხისმგებელი პირები.<br>ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან. თითოეული სტრატეგიულიმიზნისა და ამოცანის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაბამისი აქტივობები გაწერილია ერთი წლის კალენდარში, ასევე ჩაშლილია პასუხისმგებელი პირებიც.<br>სკოლას წარმოდგენილი აქვს SWOT ანალიზი სადაც განხილულია სკოლის ძლიერი მხარეები, სუსტი მხარე, საფრთხეები, შესაძლებლობები შემდეგი მიმართულებით :<br>1. საგანმანათლებლო პროგრამები<br>2. მატერიალურ ტექნიკური ბაზა.<br>3. ადამინური რესურსები.<br>რის საფუძველზეც შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • SWOT ანალიზი<br>• 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასს შემუშავებული აქვს საქმის წარმოების ერთიანი წესები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2021 წლის 10 სექტემბრის N01/03/04 ბრძანებით.<br>წესში გაწერილია შემდეგი საკითხები:<br>• შემოსული კორესპონდენციის რეგსტრაციის წესი<br>• შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი<br>• შემოსული კორესპონდენციის განხილვისა და მასზე პასუხის მომზადების წესი<br>• გასული კორესპონდენციის რეგსტრაციის წესი<br>• კორესპონდენციის გაგზავნისა და აღრიცხვის წესი<br>• ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი<br>• სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებების გადაწყვეტილებებისა და განცხადებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი<br>• ხელშეკრულებებისა და მემორანდუმებია აღრიცხვის წესი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | • პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი<br>• მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი<br>• დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ინდექსის მინიჭების წესი<br>• არქივი<br>დოკუმენტაციის შესწავლის დროს შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმებულ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია და სარეგისტრაციო ჟურნალები, რის შედეგადაც დადასტურდა არსებული წესებისა და წარმოებული დოკუმენტაციის თანხვედრა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სარეგისტრაციო ჟურნალები<br>• ბრძანებები<br>• ხელშეკრულებები<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, თუმცა შეთანხმებული არ არის სამინისტროსთან. სკოლას მიეცა დრეკომენდაცია დაუყონებლივ შეათანხმოს არსებული წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა, 2021-2022 სასწავლო წლის შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 64 პედაგოგი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულებაზე ზრუნავენ დირექტორი, დირექტორის მოადგილეაკადემიურ დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, კოორდინატორები, ბუღალტერი, ორგანიზატორი, იურისტი ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, ექთანები, საქმისწარმოების მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, სამეურნეო ნაწილის მენეჯერი, ფსიქოლოგი, ექთანი, სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად ჯამში ჰყავს 123 თანამშრომელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის eschool-ის ბაზა<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის სამსახურეობრივი ინსტრუქციები<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის თანამშრომელთა ხელშეკრულებები<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის თანამშრომელთა ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 64 |
| მოწვეული/მაძიებელი/უსტატუსო | 14 (1/1/12) |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | - |
| უფროსი მასწავლებლი | 45 |
| წამყვანი მასწავლებლი | 5 |
| მენტორის სტატუსი | - |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად.<br>შერჩევის პროცესში მასწავლებლებს მოეთხოვებათ დოკუმენტების პირობების გაცნობა.<br>სკოლაში 12 უსტატუსო მასწავლებელს აქვს განსხვავებული პირობადადებული ხელშეკრულებება, რომლის საფუძველზეც მასწავლებელს ვალდებულება აქვს 2022 წელს დარეგისტრირდეს და ჩააბაროს საგნობრივი გამოცდა.<br>ხელოვნების მასწავლებელს, რომელსაც გამოცდების საფუძველზე უნდა ჰქონდეს მინიჭებული სტატუსი არაა ასხული ბაზაში, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სკოლასა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრთან კომუნიკაცია. შესაბამისად ამ პედაგოგთანაც არის გაფორმებული პირობადადებული ხელშეკრულება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის შინაგანაწესი<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის საკონკურსო კომისიის სდომების ოქმები.<br>• http://teacherjobs.ge/ -ის პლატფორმაზე გამოცხადებული კონკურსების მასალები.<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის ხელშეკრულებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე ასაყვანი პირების მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს. შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები.<br>ასევე შინაგანაწესი მკაფიოდ განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს, აგრეთვე, წახალისების ფორმებს. ასევე გაწერილია სკოლაში თანამშრომლის მიღებისა და სამსახურებრივი შეთავსების წესები, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობები. განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის შინაგანაწესი<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები.<br>სულ 123 ხელშეკრულება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის შინაგანაწესი<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასში არსებობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია:<br>• მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;<br>• სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა<br>• მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარების ხელშეწყობა.<br>დებულებაში გაწერილია ხარისხის ჯგუფის მოვალეობები, ჯგუფის საქმიანობა, მასწავლებელთა შეფასების პროცესი და ფორმები, მასწავლებელთა პროფესიული განვითრების დაგეგმვის საკითხები.<br>კათედრების მიხედვით დაგეგმილია გაკვეთილები, რომელზეც ხდება დაკვირვება, ასევე ხდება ურთიერთდასწრება და ჩატარებულ გაკვეთილებზე კეთდება განმავითარებელი უკუკავშირი.<br>კათედრებს შორის იმართება სამუშაო შეხვედრები, სკოლაში ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. განსაკუთრებული ყურადღება მიმდინარე წელს ექცევა ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობის შესწავლა გაანალიზებას. 2021-2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან მასწავლებლები ესწრებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ვებინარებს მესამე თაობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.<br>საგნობრივ კათედრებზე იმართება პედაგოგთა მოხსენებები სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და პროფესიული უნარების შესახებ. პედაგოგები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტრენინგებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება;<br>• ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები<br>• საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელის ანგარიშები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, ტექპერსონალი, მოსწავლეები, მშობლები) აღნიშნავენ, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი, მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემო. როგორც მოსწავლეები ასევე მასწავლებლი განმარტავენ რამდენად თბილ გარემოში უწევთ თანამშრომლობა, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.<br>გასაუბრების დროს მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ სხვა და სხვა ინიციატივა. პროცედურულად ჯერ მოსწავლეთა თვითმმართველობის წინაშე, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობა წარადგენს სკოლის დირექციასთან პროექტის იდეის სახით, რომლებიც ძირითადად მხარდაჭერილია.<br>სკოლის წესდებაში გაწერილია მუხლი მოსწავლმოსწავლეთა თვითმმართველობის შესახებ, სადაც იკითხება მოსწავლეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თვითმმართველობის არჩევის, ფუნქციებისა და ვალდებულებების შესახებ. მაგალითად მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციაა შეიმუშაოს რეკომენდაციები შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების შესახებ, დირექტორს წარუდგინოს ნებისმიერ საკითხზე იდეები.<br>სკოლის დისციპლინარული კომიტეტი ზრუნავს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების, უფლებების დაცვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.<br>სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ინტერესდება სასკოლო საზოგადოების კმაყოფილებით და სასკოლო კლიმატით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის „წესდება“<br>• შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის დისციპლინარული კომიტეტის დებულება<br>• თვითმართველობის მიერ განხორციელებული აქტივობები<br>• კითხვარები<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან<br>• ინტერვიუ მშობლებთან<br>• ინტერვიუ მოსწავლეებთან<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | ვფიქრობთ, დისციპლინარული კომიტეტის წევრების შემადგენლობის საკითხის გადახედვა მნიშვნელოვანია, რათა კომიტეტში თანაბარი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი ყველა მხარე. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

შევსების ადგილი - თბილისი
თარიღი - 1 ივლისი 2022 წ.
გვერდების რაოდენობა - 42.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.